# საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება N 01-10/21

12 მარტი, 2021 წ.

ქ. ბათუმი

**ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის № 01-08/137 ბრძანების, ამავე ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს 2021 წლის 5 მარტის სხდომის №20-19/03 ოქმის, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 10 მარტის N 01-02/40 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2021 წლის 12 მარტის N 218 995 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე **,,საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა“** სწავლის საფასური **1 სატრენინგო ჯგუფისთვის განისაზღვროს 1750 ლარით.**
2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის **,,საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა“ განმახორციელებელი პერსონალის** (პროგრამის განმახორციელებელი პირი/ტრენერი - შესასრულებელი სულ 35 სთ) **1 სთ-ის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს - 30 ლარით.**
3. დამტკიცდეს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის **„საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა“ ხარჯთაღრიცხვა** დანართი 1-ის შესაბამისად.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართის სამსახურს, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** **ალექსანდრე მითაიშვილი**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 12 მარტის N01-10/21 ბრძანების

დანართი 1

*მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა*
*,,საოფისე აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფა“*
*ხარჯთაღრიცხვა*

| შემოსავალი | | ხარჯები | |
|---|---|---|---|
| მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში | სულ შემოსავალი ერთ სატრენინგო ჯგუფზე (ლარი) | საუნივერსიტეტო ხარჯები 40 % (ლარი) | მოწვეული პერსონალის/ტრენერის შრომის ანაზღაურება (ლარი) |
| 15 | 1750 | 700 | 35 სთ X 30 ლარი=1050 ლარი |
| | | | |